ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-0119031153**
თარიღი: **31/01/2019**
პინი: **4229**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახურის III-IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი მ/წლის 30 იანვრის N 60-01190301423 წერილის (მერიაში რეგისტრაციის №17-01190301709-16; 30.01.2019წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის პოზიციის დასაფიქსირებლად, საჭიროა განმცხადებელმა წარმოადგინოს სამსახურთან და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შესათანხმებლად საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, ასევე შესაბამისი სტანდარტის დაცვით შედგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი და დასრულებული სამშენებლო სამუშაოების სქემები 4-4 (ოთხ-ოთხ) ეგზემპლარად.

ამასთან გაცნობებთ, რომ:

· მოძრაობის ორგანიზების სქემის შესათანხმებლად ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში წარმოდგენილი უნდა იყოს A3 ან A4 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი.

· სქემის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის განცხადების (არქიტექტურის სამსახურში შეტანილი) ნომერი და საკადასტრო კოდი.

· იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა ხვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შუალედური გადაწყვეტილება.

· იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა ხვდება კერძო ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ მესაკუთრის წერილობითი თანხმობა (ნოტარიულად დამოწმებული).

· ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში შეთანხმების შემდეგ სქემა უნდა შეთანხმდეს საპატრულო პოლიციასთან. ამის შემდეგ, შეთანხმებული სქემა უნდა აიტვირთოს არქიტექტურული პროექტის სხვა დოკუმენტაციასთან ერთად არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ვებ გვერდზე.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი